

დინამიურ-ნარკოლოგიური გამოკვლევა აღრიცხვიდან მოხსნის მიზნით

დინამიურ-ნარკოლოგიური ექსპერტიზის გავლა შეუძლია პიროვნებას ნარკოტიკული საშუალების ან/და ფსიქოტროპული ნივთიერების მოხმარების ფაქტის დადგენის დღიდან მინიმუმ 1 წლის შემდეგ. ხოლო, ნარკოტიკებით ჩანაცვლებით პროგრამით სარგებლობის შემთხვევაში, შესვლის დღიდან მინიმუმ 3 წლის და გამოსვლიდან 1 წლის შემდეგ.

ექსპერტიზის ჩასატარებლად, გამოსაკვლევი პირი ბიუროში შესაბამის ექსპერტთან უნდა გამოცხადდეს ექსპერტის მიერ განსაზღვრულ დღეებში 7 დღის განმავლობაში 3-ჯერ (ექსპერტის გადაწყვეტილების საფუძველზე შესაძლებელია დაემატოს მეოთხე ვიზიტი).

გამოკვლევის ხანგრძლივობა - 7 კალენდარული დღე დასკვნა გაიცემა კვლევის დასრულებიდან 2 სამუშაო დღეში ბიუროს ოფისებში

ქ.თბილისი - ჭავჭავაძის N84

ქ. ქუთაისი - მესხის ქ.N5ა

ქ. ბათუმი - პ. მელიქიშვილის N102

სამუშაო დრო ორშაბათი-პარასკევი 9:00

- 18:00 საათი.

ტარიფი - 350 ლარი

გადახდა შესაძლებელია ბიუროს ოფისებთან არსებულ ბანკის ფილიალებში, ქვეყნის მასშტაბით არსებულ ნებისმიერ ბანკში ან სწრაფი გადახდის აპარატებით.

საჭირო დოკუმენტაცია - პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და გადახდის ქვითარი